პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 30 (1044) | კვირა, 10 მარტი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 80 კაპ.

ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს საზეიმოდ მორთულ „დინამოს" სტადიონი, მძლეოსნობის ყველა სექტორი მზად იყო შეჯიბრების მონაწილეთა მისაღებად.

— ყურადღება, ნაბიჯით იარ! გაისმა განკარგულება. დედაქალაქის სპორტსმენ ქალთა კოლონა ცენტრალური ტრიბუნის წინ მოეწყო.

— ქალთა სპარტაკიადის მონაწილენი მზად არიან შეჯიბრებისათვის! — მოახსენა პარადის ხელმძღვანელმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. ს. გამრეკელს, რომელმაც სპარტაკიადის მონაწილეებს მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე და უსურვა ახალი წარმატებები შრომასა და სპორტში.

სპორტსმენებს მიესალმა აგრეთვე სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ჯუღელი. გაისმა საქართველოს სსრ ჰიმნის დიდებული მელოდიები, სპარტაკიადის ალამი აღმართეს გასული სპარტაკიადის ჩემპიონებმა. შემდეგ სექტორებზე დაიწყო შეჯიბრებები 100 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრასა და ამანათრბენში.

უკვე დამთავრდა ქალთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა შეხვედრები I ჯგუფში. შეჯიბრების მეორე დღეს უნივერსიტეტის სპორტსმენებმა ანგარიშით 76:24 მოუგეს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კალათბურთელებს, პედინსტიტუტმა დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტი — 62:42, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივთან გამოუცხადებლობის გამო სამედიცინო ინსტიტუტს ჩაეთვალა წაგება.

საინტერესო იყო სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა, რომელსაც უნდა გამოერკვია უძლიერესი. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 45:45. დამატებით დროში უნივერსიტეტელებმა მოიპოვეს 5 ქულა და გაიმარჯვეს. გრძელდება შეხვედრები ფრენბურთსა და II ჯგუფის კალათბურთელებისათვის.

• • •

სურათზე: მარცხნივ — დროშის აღმართვა. მარჯვნივ — სპარტაკიადის მონაწილეთა კოლონა პარადზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ავამაღლოთ თანამედროვე ხუთჭიდელთა ოსტატობა

უძველესი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ხუთჭიდს. ეს იყო შეჯიბრება 192 მეტრზე რბენაში, შუბის ტყორცნაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში. ორი მონაწილე, რომელიც ყველაზე მაღალ შედეგს აჩვენებდა, ერთმანეთს ხვდებოდა ჭიდაობაში და აქ გამარჯვებული აღიარებულ იყო უძლიერესად ხუთჭიდში. მაგრამ შვედების წინადადებით ზემოაღნიშნული ხუთჭიდის ნაცვლად 1912 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა ახალი, თანამედროვე ხუთჭიდი.

თანამედროვე ხუთჭიდი სპორტის ურთულესი სახეობაა. იგი სპორტსმენისაგან მოითხოვს დიდ ფიზიკურ გამძლეობას, რადგან მას აქ გამოსვლა უხდება ერთმანეთთან სრულიად დამოუკიდებელ სახეობებში. თანამედროვე ხუთჭიდის მოყვარული კარგად უნდა ფლობს დაუფლებული ცხენოსნობას, ფარიკაობას, ცურვას, რბენას, სროლას. უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ხუთჭიდელთა ოსტატობა. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ საბჭოთა სპორტსმენმა სალნიკოვმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, ხოლო ჩვენი ქვეყნის ხუთჭიდელთა გუნდი გამარჯვებული გამოვიდა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე.

სპორტის ეს სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში არც თუ ისე დიდი ხანია დაინერგა, მაგრამ ჩვენმა ხუთჭიდელებმა 1955 წელს თქვეს თავიანთი პირველი სიტყვა, როცა საკავშირო პირველობის გათამაშებაში უკან ჩამოიტოვეს უძლიერესი კოლექტივები და დაიკავეს მეორე ადგილი. ნაკრები გუნდის წევრებმა რ. მანჯავიძემ, ი. მიხაილიცკიმ და ა. პევცოვმა მოიპოვეს სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. მაგრამ სულ სხვა სურათი გადაიშალა მომდევნო, 1956 წელს. ყველა ელოდა, რომ ჩვენი სპორტსმენები ახევე წარმატებით გამოვიდოდნენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, მაგრამ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა დაბალი შედეგები აჩვენეს, რის გამო მეშვიდე ადგილი მოვიპოვეთ.

სპორტის ამ სახეობაში რომ მიაღწიო წარმატებას, დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდო სასწავლო-საწვრთნელო მუშაობის დაგეგმვასა და ორგანიზაციას, რადგან ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ სპორტის ხუთ სახეობასთან, რომელიც სპორტსმენისაგან მოითხოვს დიდ ფიზიკურ გამძლეობას ამიტომ თანამედროვე ხუთჭიდში, რომ აღვზარდოთ მაღალი თანრიგის სპორტსმენები, რომლებიც წარმატებით დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ სახელს საკავშირო და საერთაშორისო არენაზე, საჭიროა ყველა სპორტულ ორგანიზაციასთან მუშაობდნენ ხუთჭიდელთა სექციები, რომლებშიც უნდა მოვიზიდოთ ნიჭიერი ახალგაზრდები და გამოცდილი მწვრთნელები. სამწუხაროდ, ჩვენთან თანამედროვე ხუთჭიდი, როგორც სპორტის სახეობა, მხედველობიდან გამორჩათ ისეთ სპორტულ საზოგადოებებს, როგორიც არიან „შრომითი რეზერვები", „პიშჩევიკი" და სხვ. ხუთჭიდელებს თუ ნახავთ „სპარტაკისა" და „დინამოს" საზოგადოებებში, ისიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, ხოლო სხვა რაიონებსა და და ქალაქებზე ზედმეტია ლაპარაკი. რატომ არ უნდა იყოს სპორტის ეს სახეობა კულტივირებული აფხაზეთსა და აჭარაში, აგრეთვე ფოთსა და ქუთაისში, სადაც ამის შესანიშნავი პირობები არსებობს. ნუთუ სპორტის ეს სახეობა იმდენად უინტერესოა, რომ ვერ იზიდავს ახალგაზრდებს? არა! თანამედროვე ხუთჭიდში დაოსტატების მსურველი ბევრია, მაგრამ მათ ვერ ვუქმნით მეცადინეობის ნორმალურ პირობებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ხუთჭიდში მომეცადინე სპორტსმენი უფრო მეტ წარმატებას მაშინ მოიპოვებს, თუ იგი არ დაელოდება კალენდარით გათვალისწინებულ ღონისძიებას, ხშირად გამოვა მძლეოსანთა, მსროლელთა, ცხენოსანთა, მოცურავეთა რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ოქტომბერში ბაქოში გაიმართება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადა, რისთვისაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა აქედანვე დაიწყეს გაცხოველებული მუშაობა. დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ხუთჭიდში. ჩვენ ისე უნდა მოვემზადოთ, რომ ჯეროვანი მეტოქეობა გავუწიოთ სომხეთის გუნდს, რომელმაც ხალხთა სპარტაკიადაზე ჩემპიონობა მოიპოვა. ამისათვის საჭიროა სპორტსმენებს შევუქმნათ წვრთნის ნორმალური პირობები. მაგრამ, ვინც ხუთჭიდელთა ნაკრები გუნდის მეცადინეობას დასწრებია, ადვილად შეამჩნევდა, რომ სპორტსმენებს არა აქვთ ელექტროდაშნები, ტყვიები, სპორტულ ცხენებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ეს ამბავი თუმცა ახალი არაა, წლების განმავლობაში გრძელდება, მაგრამ ხომ უნდა მოეღოს ბოლო სპორტის ამ სახეობისადმი უყურადღებობას. ჩვენი ხუთჭიდელები იმაზეც საყვედურობენ, რომ ტრანსპორტის უქონლობის გამო ქალაქის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში არსებულ სპორტულ ბაზებზე ოხდებათ სიარული, რაც მათ დიდ დროს ართმევს. ეს საკითხიც მოსაგვარებელია.

ვიბრძოლოთ მაღალი ოსტატობის მქონე ხუთჭიდელთა აღზრდისათვის, სპორტის ამ სახეობის მასობრიობისათვის, — აჰითია ამოცანა, რომელიც ახლო მომავალში უნდა გადავჭრას.

პრიზები საუკეთესო ჰოკეისტებს

დამთავრდა მსოფლიოს XXIII და ევროპის XXXV პირველობა შაიბიან ჰოკეიში.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის ჰოკეის სექციამ მოაწყეს მიღება.

ჰოკეის საერთაშორისო ლიგის ევროპელმა პრეზიდენტმა ბ-ნმა ჯ. აჰერნმა შეაჯამა ჩემპიონატის შედეგები და აღნიშნა, რომ შეჯიბრებამ ჩაიარა მაღალ სპორტულ დონეზე, მეგობრობისა და ამხანაგობის ვითარებაში.

ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის გუნდის მეკარე კარელ სტრაკა. საუკეთესო მცველად ერთხმად იქნა მიჩნეული საბჭოთა ჰოკეისტი ნიკოლოზ სოლოგუბოვი (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ წოდებას სოლოგუბოვი მეორე წელია ზედიზედ ღებულობს). საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი გადაეცა შვედ ჰოკეისტს სვენ იოჰანსონს.

ჰოკეის საბჭოთა სექციის დავალებით ჰოკეის საერთაშორისო ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა პ. კოროტკოვმა დირექტორატის წევრებსა და ჰოკეის ნაციონალური ფედერაციების ხელმძღვანელებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

დიდი მატჩი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ორთაბრძოლის მეორე პარტიამ თავისი დაძაბულობით პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში მყოფი ათასამდე მაყურებელი აღელვა. პრეზიდიუმშიც, რომელშიც ჩვეულებრივ თავს იყრიან გროსმაისტერები ს. ფლორი, ა. ტოლუში, ა. ლილიენტალი, ვ. რაგოზინი, ტ. პეტროსიანი და სხვები, არ არსებობდა ერთნაირი აზრი პარტიაში მომხდარი ბრძოლის შესახებ. ეს სმისლოვის აგრესიული განწყობილების ბუნებრივი შედეგი იყო.

გათამაშებულ სიცილიურ დაცვაში თავიდანვე პოზიცია დაიძაბა. სმისლოვი დაუღალავად ართულებდა თამაშს, მაგრამ ბოტვინიკი მიისწრაფოდა გაცვლებისაკენ. სხვათა შორის მე-11 სვლამდე თამაში განვითარდა ისე, როგორც საბჭოთა კავშირის 1947 წლის პირველობაზე გოლდენოვ-არონინის პარტია. მაშინ არონინმა ძლივს მიაღწია ყაიმს. თუმცა მსოფლიო ჩემპიონმა თამაში სხვა მიმართულებით წაიყვანა, მაგრამ ვერც მან მიიღო დამაკმაყოფილებელი თამაში. ლაზიერების გაცვლის შემდეგ, როდესაც დაფაზე თითო ეტლი, ორ-ორი მსუბუქი ფიგურა და შვიდ-შვიდი პაიკი დარჩა, ბოტვინიკმა შესანიშნავად ითამაშა. მან ცენტრში გარღვევისა და თითო კუს გაცვლით გაათანაბრა მდგომარეობა. პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა. იგი გადაიდო სმისლოვისათვის ოდნავ უკეთეს პოზიციაში.

მეორე დღეს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა ამ პარტიის დამთავრება. რამდენიმე სვლის შემდეგ სმისლოვი დარწმუნდა რომ დაფაზე შექმნილ საყაიმო ვითარებაში მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა. ბოტვინიკმა მიიღო წინადადება.

ამრიგად, მატჩის ორი პარტიის შემდეგ ვ. სმისლოვს 1,5 ქულა აქვს, ხოლო მ. ბოტვინიკს — 0,5 ქულა.

• • •

ვინ არაა დაინტერესებული მ. ბოტვინიკასა და ვ. სმისლოვის ორთაბრძოლით მსოფლიო ჩემპიონის სახელზე. ჭადრაკის ზოგი მოყვარულის სიმპათიები მსოფლიო ჩემპიონისადმი იხრება, ზოგს კი გროსმაისტერ ვ. სმისლოვის გამარჯვება სჯერა.

ჩვენი გაზეთის რედაქცია სთხოვს მკითხველებს მოგვწერონ: ვინ გაიმარჯვებს მატჩში და რა ანგარიშით დამთავრდება იგი.

ვინც გამოიცნობს გამარჯვებულს და მატჩის ანგარიშს, მათი გვარები გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს 20 მარტამდე.

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტში

◆ ◆

სამკერდე ნიშანი — „საზოგადოებრივი ინსტრუქტორი“



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა დებულება სამკერდე ნიშნის „საზოგადოებრივი ინსტრუქტორის“ დაწესების შესახებ.

„საზოგადოებრივი ინსტრუქტორის“ სამკერდე ნიშნით ჯილდოვდებიან საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, რომლებიც მუშაობენ სპორტულ საზოგადოებაში ან ფიზიკური კულტურის კოლექტივში არანაკლებ 3 წლის მანძილზე და აქვთ კარგი მაჩვენებლები მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში.

„საზოგადოებრივი ინსტრუქტორის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოება ხდება ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საქალაქო კომიტეტების ბრძანებებით, ხოლო წარდგინებას აწარმოებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები, სპორტული საზოგადოებები, ფიზკულტურისა და სპორტის სარაიონო და საქალაქო კომიტეტები.

„საზოგადოებრივი ინსტრუქტორის“ ნიშნით დაჯილდოება უნდა მოხდეს საზეიმო ვითარებაში ფიზკულტურულ საღამოებზე, ფიზკულტურის კოლექტივების კრებებზე და ა. შ.

სამკერდე ნიშანი მზადდება სპეციალური შენადნობისა და სამი ფერის ემალისაგან. მას აქვს ნახევრად ოვალური მედალიონის ფორმა (სიმაღლე 30 მმ, სიგანე—20 მმ). ემალის თეთრ არშიაზე ნახევრად ოვალურად ოქროსფერი ასოებით წარწერილია „საზოგადოებრივი ინსტრუქტორი“. ნიშნის ცენტრში მუქლურჯ ფონზე მოთავსებულია მძლეოსნის რელიეფური ფიგურა, რომელიც წყვეტს ფინიშის ზონარს.

მედალიონი ჩამოკიდებულია წითელი ემალის ხუთქიმიან ვარსკვლავზე.

დამსახურებისათვის, ნაყოფიერი მუშაობისათვის

საბჭოთა სპორტსმენებმა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიეს. 98 ოლიმპიური მედალი, მათ შორის 37 ოქროსი, 29 ვერცხლის და 32 ბრინჯაოსი — ასეთი სპორტული ნადავლი არც ერთი ქვეყნის დელეგაციას არ ჰქონია. როგორც ქულებით, ისე მოპოვებული მედლებით საბჭოთა კავშირმა უკან ჩამოიტოვა ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენთა ძლიერი გუნდი და თამაშებში პირველი ადგილი დაიკავა.

ამ მიღწევების გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩვენი სპორტული დელეგაციის გამოსვლა მელბურნში წარმატებითად სცნო და მის ყველა მონაწილეს მადლობა გამოუცხადა. სხვადასხვა სახეობაში მაღალი წარმატებებისათვის ბევრ მწვრთნელსა და სპორტსმენს მიენიჭა წოდებები.

საქართველოდან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: გ. ბაბილოძეს (თბილისი „ბურევესტნიკი“) — ტანვარჯიშში, ა. ბაქრაძეს (თბილისი „დინამო“) — კრივში, გ. ვარძელაშვილს (თბილისი „ბურევესტნიკი“) — კლასიკურ ჭიდაობაში, ლ. გოლოვნიას (თბილისი) — ფარიკაობაში, ლ. იოაკიმიდის (თბილისი „დინამო“) — ცურვაში, პ. იორდანიშვილს (თბილისი „ბურევესტნიკი“) — კლასიკურ ჭიდაობაში. ლ. კაპიტანოვს (თბილისი „შრომითი რეზერვები“) — თავისუფალ ჭიდაობაში. ვ. კუხიანიძეს (თბილისი „ბურევესტნიკი“) — ჭიდაობაში, ა. მეიფარიანს (თბილისი) — თანამედროვე ხუთჭიდში, შ. მუსასტიკოვს (თბილისი) — ცურვაში, შ. ნოზაძეს (თბილისი „სპარტაკი“) — თავისუფალ ჭიდაობაში, ი. ოგანოვს (თბილისი „დინამო“) — ტანვარჯიშში, დ. ციმაკურიძეს (თბილისი „ბურევესტნიკი“) — თავისუფალ ჭიდაობაში.

„ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოვდნენ: ნ. აკოპოვი (თბილისი) — ჭიდაობაში, შ. დარასელია (თბილისი) — ფარიკაობაში, მ. ლაფაძე (თბილისი „ბურევესტნიკი“) — ცურვაში, ს. ილინი (თბილისი „ბურევესტნიკი“) — ცურვაში, ვ. ინწკირველი (თბილისი) — წყალში ხტომებში, რ. კორძაია (თბილისი „ბურევესტნიკი“) — საცხენოსნო სპორტში, ტ. მესხი (თბილისი) — ფარიკაობაში, ვ. რაზმაძე (მცხეთა „ბურევესტნიკი“) — ნიჩბოსნობაში, ვ. სამარინი (თბილისი „დინამო“) — ცურვაში, ბ. ტატაროვი (თბილისი „დინამო“) — მძლეოსნობაში, რ. ჩაჩავა (თბილისი „დინამო“) — წყალბურთში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ: ლ. გიორგაძე (თბილისი) — მძლეოსნობაში, შ. გორგასლიძე (თბილისი „ბურევესტნიკი“) — კრივში, პ. გუმაშიანი (თბილისი „დინამო“) — ძალოსნობაში, გ. კალანდაძე (ბათუმი „პიშჩევიკი“) — ცურვაში, ვ. სემიონოვი (სოხუმი) — წყალში ხტომაში, ა. წერეთელი (თბილისი) — კალათბურთში.

მძლეოსნები სტარტზე გამოვიდნენ

ჩატარდა ბათუმის მძლეოსანთა საზამთრო პირველობა, რომელშიც 11 ფიზკულტურული კოლექტივის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში პირველ ადგილზე გამოვიდა მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლე მემიშ-ში. ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე პირველი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მ. ტულუში — 11,7, მეორე ადგილი წილად ხვდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშას მ. ონიშენკოს. 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ა. შატოიანმა — 55,3. სიმაღლეზე ხტომაში უძლიერესი იყო ე. ფილიევი — 170 სმ. ასეთივე შედეგი აჩვენა მ. ონიშენკომაც. ბირთვის კვრაში პირველობა წილად ხვდა ქ. ერქომაიშვილს. სიგრძეზე ხტომაში ლ. გურგენიძეს (6,95 სმ).

ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა ლ. სესაძემ—45,08 მ, ეს შედეგი აჭარის ახალი რეკორდია. ლ. სესაძე პირველი იყო აგრეთვე ბირთვის კვრაშიც.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მე-8 საშუალო სკოლის კოლექტივი.

მ. ტულუში

ახლო ბრძოლის საფუძვლები კრივში

თანამედროვე კრივში საპატიო ადგილი უკავია ახლო ბრძოლას. იგი წარმოადგენს საკმაოდ ორიგინალურ და ეფექტურ საშუალებას. მოკრივე, რომელიც დამაჯერებლად არ ფლობს ახლო ბრძოლის ტექნიკას, ვერასდროს გახდება ძლიერი ოსტატი.

საქართველოს მოკრივეთა წარუმატებლობა გასულ წელს (XI გუნდური ადგილი) მათ მიერ პირად პირველობაში დაკავებული არასახარბიელო ადგილები, გამოწვეულია იმითაც, რომ სპორტსმენთა უმრავლესობა ვერ ფლობს ახლო ბრძოლას. შეიძლება თითებზე ჩამოვთვალოთ მოკრივეები, რომლებიც ცდილობენ ბრძოლის დროს გამოიყენონ მოწინააღმდეგესთან დაახლოება, მაგრამ მათი ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების არსენალი იმდენად ღარიბია, რომ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევენ (რ. კალაჯევი, რ. ოგანეზოვი, კ. ბაბახანიდი).

ახლო ბრძოლის მთავარი საშუალებებია ძირითადი პოზიცია, მოკლე დარტყმები და მათგან რაციონალური დაცვა, აქტიური დაცვა და სხვ. ახლო ბრძოლაში ძირითადი დარტყმებია: დარტყმა ქვევიდან, გვერდითი დარტყმები, მოკლე პირდაპირი დარტყმები. ყველა ამ ხერხს აქვს თავისი ნაირსახეობა, სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც ბევრ შემთხვევაში მოკრივეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ვარიანტებიდან ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ დარტყმას, რომელიც სრულდება სხეულის წონის გადატანით საწინააღმდეგო ფეხზე. ასეთი სახის დარტყმები საკმაოდ ხშირად გვხვდება საბრძოლო პრაქტიკაში.

ახლო ბრძოლაში დაცვის ძირითადი საშუალებებია ხელისგულისა და მხრის მოფარება (იგი იცავს მოკრივის ტანისა და თავის ყველაზე მტკივნეულ ადგილებს), შემდეგ — დარტყმის შეჩერება ხელისგულის დადებით მოწინააღმდეგის დამრტყმელ ხელზე. გასვლები მარცხნივ, მარჯვნივ, წინ და უკან, ყვინთვები და ა. შ. დაცვის ყველა ეს ხერხი მოკრივეს საშუალებას აძლევს თავი დააღწიოს მოკლე დარტყმებს ახლო ბრძოლაში. დაცვის ვარიანტად გამოყენებულია აგრეთვე ნაბიჯი უკან, მარცხნივ ან მარჯვნივ. ასეთ დროს დისტანცია დროებით იზრდება, მაგრამ რჩება იმის შესაძლებლობაც, რომ მოკრივე დარტყმის აცდენის შემდეგ ისევ ახლო ბრძოლაში ჩაებას.

დაცვის გამოყენება შეიძლება როგორც ერთეულად, ისე კომბინაციაში (დაცვის რამდენიმე ხერხის ერთნაირად ან თანმიმდევრულად გამოყენებით). დაცვის მიზანია უვნებელჰყოს მოკრივე დარტყმისაგან (პასიური დაცვა), წაართვას მოწინააღმდეგეს ინიციატივა და თვითონ გადავიდეს კონტრიერიშზე (აქტიური დაცვა). ახლო ბრძოლაში გამოიყენება აგრეთვე „ყრუ დაცვაც“.

გამოცდილ მოკრივეთა (ა. ქსენოფონტოვი, ა. გრეინერი, ი. ავდეევი და სხვ.) საბრძოლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ავტომატიზირებულ, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, დარტყმების წინასწარ შესწავლილ სერიებს დიდი მნიშვნელობა აქვს ახლო ბრძოლაში. ძნელია ასეთი სერიებისაგან თავის დაცვა. სერიის პირველი დარტყმები ჩვეულებრივად ხსნიან სახიფათო ადგილს და შემდეგ იწყება უკვე ძირითადი იერიში.

ახლო ბრძოლაში, ისევე როგორც დისტანციიდან ბრძოლაში, ბევრი ტაქტიკური ვარიანტია, რომელთა განხორციელება შეიძლება სხვადასხვა ფორმით. ამათგან მნიშვნელოვანია ორთაბრძოლის წარმოება მოწინააღმდეგესთან დაახლოებაში და ბრძოლის წარმოება მოწინააღმდეგეების დაახლოების გარეშე. ახლო ბრძოლის პირველ პოზიციას მოკრივეები იყენებენ იმისათვის, რათა მოწინააღმდეგეს მიაყენონ დარტყმები და ამავე დროს თავი დაიცვან საპასუხო იერიშისაგან. ამ მდგომარეობას შეიძლება ვუწოდოთ აქტიური დაცვითი მდგომარეობა. ახლო ბრძოლის მეორე პოზიცია გამოიყენება მოწინააღმდეგეზე ენერგიული და ძლიერი დარტყმების მიყენებისათვის. ამ საშუალებას მოკრივე იყენებს იმიტომ, რომ მისი ხელები და ტანი თავისუფალია და ადვილად შეუძლია დაიკავოს მისთვის საჭირო მდგომარეობა. ასეთ მდგომარეობას ეწოდება აქტიური, თავდასხმითი მდგომარეობა.

ახლო ბრძოლაში გამოიყენება კიდევ ერთი საბრძოლო პოზიცია. მას განსაკუთრებით ეტანებიან მაღალი ტანის მოკრივეები, რომელთათვისაც ხელსაყრელია ბრძოლა შორი დისტანციიდან. ასეთი მოკრივე იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს დაბალი ტანის მოკრივეს, მუშაობს გამართულ პოზიციაში და ცდილობს მკერდით დაუპირისპირდეს შემტევ მოწინააღმდეგეს. ასეთ დროს მისი განზე გაწეული ხელები ცდილობენ შეაჩერონ დარტყმები ხელსაყრელ პოზიციაში. დაცვაზე გადასული მოკრივე აყენებს დარტყმებს მოწინააღმდეგეს გვერდიდან და აგროვებს მისთვის საჭირო ქულებს. ასე იქცევა ის მანამ, ვიდრე არ მოახერხებს ახლო ბრძოლიდან თავის დაღწევას. ასეთ პოზიციას დაცვითი უნდა ვუწოდოთ.

ვარჯიშის საერთო სქემა იქნება ასეთი: **საუბარი** — მწვრთნელი მოკრივეს განუმარტავს შესასწავლ ხერხს, მისი ტექნიკის თავისებურებას და ხერხის ტაქტიკურ გამოყენებას. შემდეგ იგი **უჩვენებს** შესასწავლ მოძრაობას ჯერ მთლიანობაში, ხოლო შემდეგ ნაწილ-ნაწილ. **მოსამზადებელი ვარჯიშები** — მოკრივე ითვისებს ძირითადს, იმას რაც საჭიროა ხერხის შესწავლისათვის. **ვარჯიში ხელთათმანების გარეშე** (საიმიტაციო) — მოკრივე მთლიანად ითვისებს ზუსტ მოძრაობას. **ვარჯიში მოწინააღმდეგესთან** **(ხელთათმანებით)** — ხერხი შეისწავლება საწინააღმდეგო კონტრილეთთან დამოკიდებულებაში. **საბრძოლო ვარჯიში ამოცანის მიცემით** — მოკრივე შეისწავლის კონკრეტულ დავალებას საბრძოლო პირობებში. **საბრძოლო პრაქტიკა** — მოკრივე სწორად იყენებს შეთვისებულ ხერხებს საწვრთნელ ბრძოლაში. **ნებისმიერი ბრძოლა** — მოკრივეები ახორციელებენ ინდივიდუალურ დავალებას ან დამოუკიდებლად მოქმედებენ ბრძოლის პროცესში და ა. შ.

ჩვენის აზრით, ახლო ბრძოლაში მოკრივის სრულყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესწავლილ იქნება ყველა ტექნიკური ხერხი, ე. ი. სპორტსმენს მთლიანად ეცოდინება საპროგრამო მასალა, რომელიც შეიცავს ახლო ბრძოლის ტექნიკასა და ტაქტიკას. ამ მასალას მოკრივეები გადიან ჯგუფურ მეცადინეობაზე.

ჯგუფური მეცადინეობა ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: ძირითადი პოზიცია, საიერიშო დარტყმები (ქვევიდან, გვერდითი, მოკლე, პირდაპირი), დაცვა დარტყმებისაგან (შეჩერება, განზე გასვლა, უკან დახევა, ყვინთვები), ორი დარტყმის კომბინაცია, ახლო ბრძოლაში შესვლა, ახლო ბრძოლიდან გამოსვლა, 3 და 4-დარტყმიანი სერიები, აქტიური დაცვა და ა. შ. წლის განმავლობაში ელეთების ასეთი თანმიმდევრული შესწავლა განაპირობებს სპორტსმენის ოსტატობის ამაღლებას. საქართველოს მოკრივეებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ახლო ბრძოლის ტექნიკისა და ტაქტიკის შესწავლას.

ე. ოგურენკოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მოფარიკავეთა გუნდების შეხვედრა

რამდენიმე დღის წინ მოეწყო თბილისის მოფარიკავეთა უძლიერესი კოლექტივების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, განათლების განყოფილებისა და „ბურევესტნიკის“ ბავშვთა სპორტული სკოლის კოლექტივები. თვითეული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა 3 ქალი და ამდენივე ვაჟი. მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მოფარიკავეები ოლიმპიური თამაშების მონაწილენი რ. ცირეკიძე და ი. ოსიპოვი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სპორტის ოსტატი ჯ. ზენაიშვილი და სხვ.

ქალთა შორის რაპირით ბრძოლაში კარგი მომზადება გამოამჟღავნა უნივერსიტეტის გუნდმა, რომელსაც წილად ხვდა პირველი ადგილი.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. ი. ოსიპოვმა დამარცხება განიცადა უნივერსიტეტის წარმომადგენელთან გ. ჩხაიძესთან ბრძოლაში. რაპირით ფარიკაობაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებს ხვდათ წილად. ისინი უძლიერესები იყვნენ აგრეთვე ესპადრონით ბრძოლაშიც. განათლების განყოფილების გუნდმა გაიმარჯვა ელასტიკური ხიშტით ბრძოლაში და უკან ჩამოიტოვა უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძლიერი კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი წილად ხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიკავეთა გუნდს.

შ. ქირია.

ხალიჩაზე არიან თანრიგოსნები

მარტის პირველ რიცხვებში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზში მოეწყო თბილისის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში მეორე და მესამეთანრიგოსან სპორტსმენთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვებისა“ და სხვა გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით მეორეთანრიგოსანთა შორის პირველი ადგილები დაიკავეს ა. კუპაძემ, გ. აბასოვმა, გ. მელაშვილმა, თ. ბაბაშვილმა, კ. ვართანოვმა. დანარჩენ წონით კატეგორიებში შეჯიბრება არ ჩატარებულა. მესამეთანრიგოსანთა შორის უძლიერესები იყვნენ ა. როსტიაშვილი, თ. სიუკაევი, ო. გაზაშვილი, რ. შენგელია, გ. ლოლობერიძე, ა. სიამაშვილი, ნ. ანთაძე.

შ. ხუსკივაძე

გათამაშების მეორე ტური

საკავშირო პირველობა ფრენბურთში წელს ორ წრედ ტარდება: პირველია ზამთრის, ხოლო მეორე — ზაფხულისა. ყოველ წრეში ჩემპიონატში მონაწილე გუნდები სამ ტურს თამაშობენ. ქალთა ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები უკვე მოეწყო მოსკოვსა და რიგაში. თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდი მასში წარუმატებლად გამოვიდა. საქართველოს ფრენბურთელებმა ხუთი შეხვედრიდან ყველა წააგეს. — მოსკოვის „სპარტაკთან", ხარკოვის „ბურევესტნიკთან", ტალინის „კალევთან", რიგის „დაუგავასთან" და მოსკოვის „ლოკომოტივთან".

მეორე ტურის თამაშები მოეწყო ბაქოსა და ოდესაში. თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდი თამაშობდა ბაქოს ჯგუფში. მასთან ერთად აქ გამოდიოდნენ მოსკოვის „დინამო" და „ლოკომოტივი", ბაქოს „ნეფტიანიკი", კრასნოდარის „დინამო" და რიგის „დაუგავა". ყოველ გუნდს უნდა ჩაეტარებია მხოლოდ 3 შეხვედრა.

პირველ კალენდარულ დღეს თბილისის ქალთა გუნდი შეხვდა კრასნოდარის „დინამოს". საქართველოს ფრენბურთელებმა ეს შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს. თბილისის „ბურევესტნიკმა" მატჩი მოიგო ანგარიშით 3:0 (15:7, 15:5 და 15:10). გუნდში კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ აბუაშვილი, იმედაშვილი და ა. ანანოვა.

მეორე დღეს თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა მოსკოვის „დინამოს", რომელიც თამაშობდა თავისი ძირითადი შემადგენლობით. თბილისელთა შორის იყვნენ ვაშაკიძე, იმედაშვილი, აბუაშვილი, სპორტის ოსტატი ძუგაევა, ჯალალანია და ვ. ანანოვა. პირველ პარტიას დაძაბულ ბრძოლაში იგებენ მოსკოველები — 15:9. უფრო ენერგიულად დაიწყეს მოსკოველებმა მეორე პარტია და სულ მალე ანგარიში იყო 14:4 მათ სასარგებლოდ აქ პარტიის ბედი თითქოს გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მწვრთნელმა ა. სიმონიანმა აიღო წუთშესვენება და უნდა ითქვას საკმაოდ დროულად. როგორც იტყვიან, „გათამაშდა" ძუგაევა. მისი ყოველი გასვლა ბადესთან ქულის აღებით მთავრდებოდა. თბილისელებმა მეთოდურად იწყეს ანგარიშის გათანაბრება. მაგრამ უკანასკნელ მომენტში დაშვებულმა შეცდომამ გამარჯვება მოსკოველთა მხარეს გადახარა. პარტიას იგებს „დინამო". მესამე პარტიაში თბილისელებმა მაყურებელს აჩვენეს ბრწყინვალე თამაში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ აბუაშვილი, ვაშაკიძე და ა. ანანოვა. „ბურევესტნიკმა" მოიგო პარტია 15:11. მაგრამ როგორც ჩანს ეს გამარჯვება მათ ძვირად დაუჯდათ. უკვე იგრძნობოდა მოთამაშეთა დაღლილობა, არაკოლექტიურობა და შედეგმაც იმავ წამს იჩინა თავი. მოსკოვის „დინამომ" ადვილად მოიგო პარტია — 15:4 და მასთან შეხვედრაც — 3:1.

მესამე თამაში თბილისის „ბურევესტნიკს" ჰქონდა ბაქოს „ნეფტიანიკთან". პირველ ორ პარტიას საქართველოს ფრენბურთელები იგებენ ანგარიშით 15:9 და 15:12. მაგრამ მომდევნო სამ პარტიაში უპირატესობა მთლიანად ბაქოელთა მხარეს გადადის (15:4. 15:6. 15:10). შეხვედრის საბოლოო შედეგია 3:2 ბაქოს ფრენბურთელთა სასარგებლოდ.

ე. ასრიანი,

ბაქო,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკისა" და ბაქოს „ნეფტიანიკის" თამაშის მომენტი.

ფოტო ვ. დონსკოისა.

მოსკოვი. (ჩვენი სპეც კორ.). წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურში ყურადღების ცენტრში იყო თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდისა და თბილისის „დინამოს" შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კოლექტივების მდგომარეობა სატურნირო ცხრილში არ იყო თანაბარი — არმიელები მოსკოვის „დინამოსთან" ერთად ჩემპიონატის ლიდერები იყვნენ, თბილისელებს კი მხოლოდ 3 ქულა ჰქონდათ — მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ ამ მატჩს. სამწუხაროდ, მსაჯმა კორნეევმა ძალზე სუსტად და არაობიექტურად ჩაატარა ეს შეხვედრა. ამიტომ თბილისელებმა მატჩი გააპროტესტეს.

მეშვიდე ტური დაიწყო მოულოდნელობით. ვერავინ ფიქრობდა, რომ ლენინგრადის „ვოდნიკი" ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა „დინამო"-ს. მაგრამ ლენინგრადელი სპორტსმენები თამაშობდნენ აღმავლობით. მათ ჯერ მოიგერიეს არმიელთა იერიშები, შემდეგ საპასუხო შეტევებით ორი ბურთი გაიტანეს. არმიელებმა მას მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს.

ამ დღეს თბილისის „დინამო" შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს". თამაშის დასაწყისშივე უხეშობისათვის აუზიდან გაძევებულ იქნა თბილისელი პოტაპოვი. „ტორპედომ" წარმატებით გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და გაიტანა ბურთი — 1:0. მალე დინამოელებმა საპასუხო შეტევა განავითარეს და გვახარიამ ჩხიკვაძის ზუსტი გადაცემიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთებზე ტორპედოელი მცველი კარგად იყენებს მეკარე ომენკოს შეცდომას და მეორე ბურთს ათავსებს თბილისელთა კარში — 2:1.

მეორე ნახევარში თბილისელთა სასარგებლოდ ინიშნება 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. რომელსაც ზუსტად იყენებს ჩაჩავა — 2:2. ბოლო რამდენიმე წუთში მოსკოველთა მეკარის პირისპირ აღმოჩნდა გვახარია, მას უხეშად ეპყრობა მცველი და კვლავ ინიშნება 4-მეტრიანი ჯარიმა. ანგარიში თბილისელებს მიჰყავდათ 3:2, მაგრამ უკანასკნელ წუთზე ისინი დაჯარიმდნენ და მატჩი დამთავრდა ანგარიშით — 3:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მარტისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	7	6	1	0	32 : 19	13
ცსკმო	7	5	1	1	16 : 10	11
„ბურ." მ.	7	3	3	1	22 : 17	9
კკფ ბ.	7	4	0	3	21 : 22	8
„ბურ." კ.	7	2	2	3	20 : 15	6
„ტორპედო" მ.	7	1	3	3	11 : 13	5
„შრ. რეზ." მ.	7	2	1	4	16 : 20	5
„ვოდნიკი" ლ.	7	2	1	4	13 : 18	5
„დინამო" თ.	7	1	2	4	12 : 17	4
„ბურ." ლ.	7	2	0	5	16 : 26	4

წყალბურთელთა ტურნირი

სპორტული ქრონიკა

მანგლისის ქართულმა საშუალო სკოლამ მოაწყო შეჯიბრება ჭადრაკსა და შაშში. ჭადრაკში I და II ადგილები გაიყვეს ს. მჭედლიძემ და ზ. იობაშვილმა, ხოლო შაშში I ადგილი დაიკავა ა. სამადაშვილმა.

ა. ასკურავა

• • •

დუშეთში ჩატარდა შეხვედრა რაიონის პირველობაზე სათხილამურო სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ ფასანაურის, მლეთის, დუშეთის I და II საშუალო სკოლების, აგრეთვე ზოოვეტერინარული ტექნიკუმისა და რუსული შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები.

ვაჟთათვის 10-კილომეტრიან კროსზე გამარჯვებულებმა გ. ბურდულმა (მლეთა) და ზ. ყველაიძემ (ფასანაური) შეასრულეს II სპორტული თანრიგის ნორმა. 5-კილომეტრიან დისტანციაზე მონაწილე ვაჟთა უმრავლესობამ III სპორტული თანრიგის ნორმა შეასრულა.

საინტერესო იყო შეჯიბრება ქალთა შორის 3-კილომეტრიან დისტანციაზე, სადაც თავი ისახელეს ფასანაურელმა მოსწავლეებმა. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი და რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ფასანაურელმა მოსწავლეებმა, მეორე ადგილზეა მლეთის საშუალო სკოლა.

თ. კობიაშვილი

ვანი. ყუმურის საშუალო სკოლაში ჩატარდა რაიონის ფესტივალისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა შეჯიბრება ჭადრაკში. პირველი ადგილი გაიყვეს გ. ადეიშვილმა, ნ. პაიჭაძემ და დ. სანიკიძემ.

გ. ადეიშვილი

• • •

მესტიის რაიონის კულტურის სახლში მოეწყო ახალგაზრდობის ფესტივალისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მესტიის, ლენჯერის, იფარის, ბეჩოს საშუალო სკოლებისა და „კოლმეურნის" ფიზკულტურული კოლექტივები.

გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნა ლენჯერის გუნდს, მეორე ადგილი დაიკავა მესტიის გუნდმა.

წონით კატეგორიებში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ ზ. ვივანი, ბ. ნიგურიანი, ვ. აფრასიძე, ვ. კახიანი, ვ. ვურგულიანი, რ. ხორგუანი, ჯ. ბარლიანი.

მ. რატიანი

• • •

წალენჯიხა. ამას წინათ სოფელ ნაკიფუში მოეწყო რაიონის ფესტივალისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ I და II ნაკრები გუნდები. შეხვედრა მოიგეს I ნაკრები გუნდის ფრენბურთელებმა.

ი. კვარაცხელია

• • •

აბაშა. ჩატარდა შეჯიბრება რაიონის პირველობაზე კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ საშუალო სკოლების ვაჟთა გუნდები. I ადგილზე გამოვიდნენ II საშუალო სკოლის სპორტსმენები, ხოლო II ადგილი წილად ხვდათ I საშუალო სკოლის კალათბურთელებს.

გ. გვაზავა

• • •

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მექანიკური სახელოსნოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა. ახლახან აქ მოეწყო შიდასაკოლექტივო პირველობა მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

მაგიდის ჩოგბურთში წარმატებით გამოვიდნენ ჯ. ბიბინეიშვილი, ზ. ფანჩულიძე და დ. კლდიაშვილი. მოჭადრაკეთა ჩემპიონატში 12 კაცი მონაწილეობდა. პირველი ადგილი მოიპოვა მეორეთანრიგოსანმა ჯ. ბიბინეიშვილმა, მეორე იყო ხარატი ჯ. ხიხაძე, ხოლო მესამე — ინჟინერი ო. კუპატაძე.

დ. გოგებაშვილი

„ა" და „ბ" კლასის გუნდებისათვის

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა გუნდები. გათამაშება იწარმოებს მაისიდან სექტემბრამდე.

როგორც წესი, ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, ე. ი. წაგების მქონე გუნდი შემდგომი თამაშებიდან ითიშება. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში (დამატებითი დროის ჩათვლით) გუნდები ხელმეორედ ხვდებიან ერთმანეთს შემდგომ დღეს. თუ თამაში კვლავ ფრედ დამთავრდა. ინიშნება მესამე თამაში, რომელიც ტარდება ერთი დღის დასვენების შემდეგ.

შემდგომი დამატებითი თამაშები ინიშნება ორი დღის დასვენების შემდეგ.

შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი ჯილდოვდება სსრ კავშირის თასით ფეხბურთში

საქართველოს ჩემპიონობისათვის

საქართველოს 1957 წლის საჭადრაკო პირველობა რაც უფრო უახლოვდება დასასრულს, ბრძოლა პირველობისათვის უაღრესად მწვავდება. XI ტურში ლომაიამ ვერ შეინარჩუნა ლიდერობა (იგი იზვოზჩიკოვთან დამარცხდა), ხოლო კალატოზიშვილმა ყაიმით ოდნავ წაიწია წინ. ბუსლაევმა ადვილად მოუგო ელიძეს და კალატოზიშვილს მხარი ამოუდგა. მჭიდროდ დაუახლოვდა ლიდერებს ბლაგიძე, რომელმაც კალატოზიშვილთან გაიმარჯვა.

XII ტურში შესამჩნევი გახდა [illegible] კიკიანის დაწინაურება. [illegible] ბერაძის გადაჭარბებული სითამამით წამოწყებული იერიში [illegible] მოიგო პარტია. ამით კიკიანი ჩემპიონობის მებრძოლთა ხუთეულში შევიდა. თითო ქულით წაიწიეს წინ კალატოზიშვილმა და ლომაიამ, რომლებმაც მოუგეს პარტიები ჭყონიასა და კაკაბაძეს. „ფეხი დაუცდა" ბუსლაევს გამრეკელთან პარტიაში. უკანასკნელმა დამაჯერებლად გამოიყენა ოსტატის შეცდომები და გაიმარჯვა. ბლაგიძემ ვერ სძლია რათიელიძის შეუპოვარ წინააღმდეგობას, ყაიმით დაკმაყოფილდა

XIII ტურში დიდ ინტერესს წარმოადგენდა ბუსლაევ-კალატოზიშვილის შეხვედრა. დებიუტში კალატოზიშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ბუსლაევმა აზრიანად გამოიყენა იგი და უკვე 21-ე სვლაზე მოიგო პარტია. ამ დროს ლომაიამ ენერგიული თამაშით დაამარცხა ბერაძე და კვლავ ლიდერი გახდა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კიკიანმა შეუპოვარი დაცვით იზვოზჩიკოვთან ყაიმს მიაღწია. ჭყონია დანებდა კიკიანსა და გამრეკელს. ჯანოევმა მოუგო დემურიას.

ამრიგად, XIII ტურის შემდეგ წინ არიან ტ. ლომაია და თ. კიკიანი (9,5 ქულა თითეული), ი. ბუსლაევი და გ. კალატოზიშვილი (9 ქულა თითეული).

დედაქალაქის პირველობა

ჭადრაკში ქალთა შორის თბილისის ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში, რომელიც ამას წინათ რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო, ჩაებნენ დედაქალაქის უძლიერესი მოჭადრაკეები ქ. გოგიავა, ლ. ნაჭყებია, ლ. წეროძე. თ. გოგუაძე, მ. სტატნიკოვა, ნ. თვალჭრელიძე, ჰ. სამსონია და სხვები.

ტურნირზე გათამაშებული სამი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ქ. გოგიავა და დ. ბუჩუაძე, რომლებმაც სამივე შეხვედრა მოიგეს.

დედაქალაქის პირველობაზე გამარჯვებული ხუთი მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 1957 წლის პირველობაში, რომელიც მარსში შედგება. ამ ტურნირში ითამაშებენ აგრეთვე საქართველოს გასული წლის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე.

ტურნირი ხარისთვალაში

ტყიბულის გეოლოგიური საძიებო პარტიის 1957 წლის საჭადრაკო პირველობა ჩატარდა სოფელ ხარისთვალაში. ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის. ორ ნახევარფინალურ ტურნირში გამომჟღავნდა 18 ძლიერი მოჭადრაკე, რომლებმაც გაითამაშეს ფინალი.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა ახალგაზრდა ინჟინერმა პირველთანრიგოსანმა ნ. მაისურაძემ, რომელმაც 17 შესაძლებლიდან 14,5 ქულა მოაგროვა. II-III-IV ადგილები 12,5 ქულით თითეულმა გაიყვეს ინჟინრებმა ა. ნემსაძემ, ს. დენთოვმა და შ. აბაშვილმა.

ა. ბერაია

მოსკოვი. (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურმა პირველობამ ციგურებით ფიგურულ სრიალში, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „ტორპედოსა" და სხვა სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები.

ვაჟთა შეჯიბრებაში ისევე, როგორც გასულ წელს, უძლიერესი იყო ლ. მიხაილოვი („სპარტაკი" მოსკოვი). ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოვის „დინამოს" გუნდის წევრმა ე. ოსიპოვამ.

წყვილთა შეჯიბრებაში საუკეთესო იყვნენ ლენინგრადელი სპორტსმენები ნ ბაკუშევა და ს. ქუკი („დინამო").

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს დინამოელებმა. მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკი", მესამეზე — „სპარტაკი".

* * *

სურათზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ე. ოსიპოვა ასრულებს ნახტომს.

ფოტო ა. ბატანოვისა (საქდესი).

მართალი სტრიქონები

რედაქცია მრავალ მხატვრულ ნაწარმოებს იღებს, რომლებიც შთაგონებულია საბჭოთა სპორტსმენების მიმზიდველი, შინაარსიანი, რომანტიკით აღსავსე ცხოვრებით. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ გამოუცდელი ავტორის კალმის ნაყოფია და ამდენად ვერ ბრწყინავს მხატვრული სამკაულებით, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ყოველი სტრიქონი გამთბარია სინამდვილის ცოდნით, ალალი სიყვარულით. ამ მართალი სტრიქონების მხატვრულ სილარიბეს ძალუმად ავსებს გრძნობათა სილამაზე და სიმდიდრე. ავტორები დამაჯერებლად გვიხატავენ საბჭოთა სპორტსმენის სახეს, მის ადამიანურ თვისებებს.

ახალგაზრდა ავტორი **ი. ქემერტელიძე** თავის ერთ ლექსს უძღვნის ბავშვობის მეგობარ გოგონას. ადრე სუსტსა და ნაზ ქალიშვილს დღეს ალპინისტის წერაყინი უჭირავს ხელში და გაბედულად მიაბიჯებს ცასშეყუდებული მწვერვალებისაკენ. ქალიშვილის ამ ლაღი ბუნებით, სულიერი და ფიზიკური სიმტკიცით მოხიბლული ავტორი მას ასე მიმართავს:

ალა ვინ გაჩუქა სიმარდე
ან გული ვინ მოგცა მთებური,
გავიგე წვევიხარ მყინვარწვერს,
გოლიათს ნისლებით შებურვილს.

საბჭოთა სპორტსმენები საყოველთაო სახალხო სიყვარულით სარგებლობენ. ამიტომ ყოველი მათი მიღწევა, იქნება ეს ჩემპიონის მედალი თუ ახალი რეკორდი, სცილდება პირადი საკუთრების ფარგლებს და მთელი საზოგადოების, ხალხის კუთვნილებად იქცევა. მათ წარმატებას უშუალო და მთელი სისრულით განიცდიან ყველანი, რომელთა შორის ჩვენი სპორტსმენები ცხოვრობენ და იმარჯვებენ. ეს საგულისხმო გარემოება ავტორს კარგ მხატვრულ განზოგადოებამდე აჰყავს ლექსში „თანასოფლელ მეგობარს", სადაც მეგობარი, სპორტსმენის მიერ საჭიდაო ხალიჩაზე მოპოვებული გამარჯვებით აღფრთოვანებული, წერს:

დღეს ხალიჩაზე რომ გხედავ
მარჯვენაღმართულ მეგობარს, —
მაგ შენი მკლავის ნაყოფი
მეც გამარჯვებად მეყოფა.

ონელი **დ. ბერიშვილის** საინტერესო ლექსი მარადთოვლიანი მწვერვალების სიყვარულით არის შთაგონებული. ავტორს ხიბლავს და იტაცებს ალპინისტთა შეუპოვრობა, უდრეკი ნებისყოფა, ზვავების სამეფოსთან ვაჟკაცური ბრძოლების პერიპეტიები, მთამსვლელის რომანტიკული ცხოვრების ამაღელვებელი სურათები. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი **კ. ბალავაძე** ულრესად გულთბილ სტრიქონებს უძღვნის ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე ნიავივით მონავარდე მოთხილამურე ქალიშვილს. საბჭოთა სპორტის სადიდებელ მღერიან თავიანთ ლექსებში თბილისელი ავტორები **ვ. გოგოლაშვილი, გ. ბედოშვილი** და ლაგოდეხელი **ი. ნადაშვილი.**

ყურადღებას იმსახურებს **ვ. ალმაზოვის** ნაწარმოები „ყველაზე საყვარელი". ამ პატარა მოთხრობას წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა სპორტსმენი ხალხის სიყვარულს იმსახურებს არა მარტო თავისი მაღალი ოსტატობით, არამედ წმიდა, უმწიკვლო სპორტული ეთიკით, უზადო მორალით, სულიერი სისპეტაკითა და კდემამოსილებით. ამ მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ქალაქის საუკეთესო ფეხბურთელია და, ბუნებრივია, გულშემატკივართა დიდი სიმპათიებით სარგებლობს. მაგრამ ამ მაღალი ოსტატობის ნიღაბქვეშ დამალულია მისი ხასიათის უხამსი მხარეები — ინდივიდუალიზმი, არათავაზიანობა, ყოყლოჩინობა. როცა იგი ამ თვისებებს გამოამჟღავნებს თავისი გულშემატკივრის წინაშე, ის უკანასკნელი მკვეთრად შეაქცევს ზურგს „ყველაზე საყვარელ" ფეხბურთელს. ამ მოთხრობაში ავტორი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ეგოისტებსა და ქედმაღლებს სპორტში.

ავტორი **ი. ტაბიძე** მოთხრობაში „კიდევ ერთი გულშემატკივარი" გვიხატავს ფეხბურთზე თავდავიწყებით შეყვარებული ადამიანის სახეს. ამავე თემატურ ჩარჩოშია მოქცეული **ა. გვარამიას** სატირული მოთხრობის — „ზოგი ჭირი მარგებელია"-ს სუჟეტი.

ჩვენი რედაქციის ლიტერატურული ფონდის მასალები მოწმობენ, რომ ახალგაზრდა ავტორები თანდათან მეტი გაბედულებით ჰკიდებენ ხელს სპორტულ თემას, რათა საბჭოთა სპორტსმენების მღელვარე, მიმზიდველმა ცხოვრებამ, მათმა შესანიშნავმა გამარჯვებებმა, მაღალმა ფიქრებმა და გატაცებებმა სათანადო ასახვა ჰპოვონ მხატვრულ ტილოებში.

ა. ხუჭუა

მცირეკალიბრიანი იარაღიდან

სოხუმში ჩატარდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ტყვიით სროლაში, რომელშიც ქალაქის 22 ძირეული კოლექტივი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან და პისტოლეტიდან.

შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა მეორე რაისაბჭომ, რომელმაც 616 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა „ხიმიკის" გუნდი.

პირად პირველობაზე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ყველას აჯობა ა. რეშკინმა, რომელმაც სამი მდგომარეობის ჯამში 300 შესაძლებლიდან 272 ქულა მოაგროვა. პისტოლეტიდან სროლაში გაიმარჯვა პ. ახვლედიანმა.

ი. პროხოდა

ნარევი

ათი ბურთი ერთ მატჩში

საფრანგეთის გუნდის წევრმა ტადეუშ ცაზოვსკიმ მატჩში საფრანგეთი—ბელგია გაიტანა ხუთი ბურთი. შედეგი შესანიშნავია! მაგრამ ფეხბურთის ისტორიას აქვს სხვა უფრო მაღალი ციფრებიც. ერთ საერთაშორისო მატჩში გატანილი გოლების აბსოლუტური რეკორდის მფლობელია გერმანელი ფეხბურთელი ფუში — 10 ბურთი. მეორე ადგილზეა დანიელი მოთამაშე ნილსენი — 7. 6-6 ბურთი აქვთ გატანილი ორდანს, ვუდვარს, ჰოლდენს (ინგლისი), ჰოლბეკს (შვეცია), ბინბრიკს (ირლანდია), ჰაანემანს (გერმანია) და ჩან კუნ პინს (კორეა).

ტონი ზაილერი — არტისტი

როგორც ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი" იტყობინება მსოფლიოს უძლიერესმა სამთო-მოთხილამურემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ავსტრიელმა ტონი ზაილერმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც იგი მთავარ როლს ითამაშებს ფილმში, რომელიც ალპინისტურ თემაზეა აგებული. საცდელმა გადაღებებმა ცხადჰყო, რომ ტონი ფოტოგენურია.

აღსანიშნავია, რომ ეს კონტაქტი არ არღვევს მოყვარულობის სტატუსს, ამიტომ ოლიმპიური ჩემპიონი ადვილად დათანხმდა მონაწილეობა მიეღო მასში, ისე კი ზაილერს აღთქმული აქვს არ გადავიდეს პროფესიონალებში.

ერთმანეთს ეჯიბრებიან... მეუღლეები

ამას წინათ მეტად საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა პოლონეთში. მასში მონაწილეობდნენ მძლეოსანი ცოლ-ქმრები. ჩათვლითი სისტემა მეტად მარტივი იყო — მეუღლეთა საუკეთესო შედეგები, როგორც ეს მრავალჭიდშია მიღებული, ქულებზე გადათვლის შემდეგ იწერებოდა ჯამის სახით.

პირველი ადგილი დაიკავეს ცოლ-ქმარმა კშესინსკებმა. ქმარმა, ცნობილმა ჭოკით მხტომელმა, გადალახა თამასა 4.40 მეტრ სიმაღლეზე (985 ქულა), ცოლი, ოლიმპიური ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, გადახტა 6.35 მეტრზე (1.216 ქულა). სულ კშესინსკებმა დააგროვეს 2.201 ქულა).

მეორე ადგილზე გამოვიდნენ კშიშკოვიაკები. ქმარმა 10 ათასი მეტრი გაირბინა 29.05 წუთში, ხოლო ცოლმა 200 მეტრი დაფარა 26,2 წამში.

მართლაც რომ ნაკრები...

თუ რამდენად არაპოპულარულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ევროპული ფეხბურთი, შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი ფაქტის მიხედვით. აშშ-ს ოლიმპიურ ნაკრებში, რომელიც მელბურნში გამოდიოდა, იყო მხოლოდ 4 ამერიკელი. დანარჩენები წარმოადგენდნენ სხვადასხვა ეროვნებათა ნამდვილ ნაკრებს. აქ თამაშობდნენ გერმანელი, ინგლისელი, დანიელი, ესპანელი, პოლონელი და შოტლანდიელი ფეხბურთელები.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული კონფერენციები

სიღნაღი

ჩატარდა „კოლმეურნის" სიღნაღის რაისაბჭოს VIII კონფერენცია. რაისაბჭოს მუშაობის შესახებ ილაპარაკა ვ. ყაჯრიშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. თამაზაშვილმა, ბ. ტარუაშვილმა, შ. ტოკლიკიშვილმა, ი. მუშტაკაშვილმა, ბ. ჯანიაშვილმა, ვ. მირიანაშვილმა, ხ. ზედელაშვილმა, ჰ. ნაცვლიშვილმა, ა. ხმალაძემ და თ. ბეჟაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს ის წარმატებები, რასაც სიღნაღის „კოლმეურნის" რაისაბჭომ მიაღწია გასულ წელს სოფლად ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში. გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა.

ძირეული კოლექტივების ნაყოფიერმა მუშაობამ რაისაბჭოს საშუალება მისცა ჩაეტარებინა რაიონული შეჯიბრებები სპორტის 11 სახეობაში და მონაწილეობა მიეღო რესპუბლიკურ ღონისძიებებში. სიღნაღელი ფიზკულტურელები განსაკუთრებით წარმატებით გამოვიდნენ ცხენოსანთა და კლასიკურ მოჭიდავეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე. გ. ფხოველიშვილმა 8-კილომეტრიან მარულაში ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო გ. ძამიაშვილმა დაბრკოლებათა გადალახვაში — მეორე ადგილი.

რაისაბჭოს მუშაობაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ნაკლოვანებებსაც, ეს განსაკუთრებით ითქმის სპორტული ბაზების მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე. ბევრ საკოლმეურნეო ორგანიზაციაში უვარგისია ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მაჩხაანის ზოოვეტტექნიკუმი, რომელიც რაიონში მოწინავეა, ბაზების ნაკლებობას განიცდის, არ გააჩნია ინვენტარი სპორტული ტანვარჯიშისათვის. კონფერენციაზე გააკრიტიკეს სოფლად მომუშავე ფიზკულტურის მასწავლებლები თ. კაკაშვილი, ა. ხატიაშვილი (ტიბაანი), ა. ხმალაძე, ო. ბალარჯიშვილი (ბოდბე), ჰ. ნაცვლიშვილი (ულიანოვკა), რომლებიც არავითარ დახმარებას არ უწევენ კოლმეურნე ფიზკულტურელებს.

ვ. ბეჟაშვილი

ბათუმის რაიონი

„კოლმეურნის" ბათუმის რაისაბჭოს VII კონფერენციაზე მომხსენებელმა ვ. ჰყონიამ დელეგატებს მოუთხრო ბათუმის რაიონის სოფლის ფიზკულტურელთა იმ წარმატებებზე, რომლებიც მათ მოიპოვეს ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში. განსაკუთრებით კარგად ამუშავებს ახალშენის კალინინის, ანგისის მოლოტოვის, ახალსოფლის ტიმოშენკოს სახელობის კოლმეურნეობებისა და სუბტროპიკული კულტურების ტექნიკუმის ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. სპორტის მასობრიობაში რაიონს უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა, რომ ერგეს, მეჯინისწყლის, ხელვაჩაურის, მახინჯაურის, წინსვლის, კირნათის და სხვა ძირეულ კოლექტივებს მუშაობა თვითდინებაზე არ მიეშვათ. კონფერენციაზე გააკრიტიკეს აგრეთვე ამ კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციები რომლებიც არაგულისხმიერად ეკიდებიან სოფლად ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობას.

კამათის მონაწილეებმა მ. ქაჯაიამ, შ. ლეჟავამ ვ. მამეშვილმა, გ. ზიბზიბაძემ და სხვებმა ილაპარაკეს კოლმეურნეობათა გამგეობის სუსტ დახმარებაზე.

კონფერენციამ მიიღო სათანადო ღონისძიება და აირჩია „კოლმეურნის" ბათუმის რაიონული საბჭოს ახალი შემადგენლობა.

ნ. კილაძე

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.
უე 01368